PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ- თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე:ნანა ბარნაბიშვილი

წევრები: მარინა გოგოლაძე
ნატო ალავიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მ. გოგოლაძე

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 9 ივნისის MES 02000475689 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2020 წლის 25 ივნისს განახორციელა ვიზიტი სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ქ. ქუთაისში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „საბიბლიოთეკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **დამატების,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31–ე მუხლის, მე–2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვინაიდან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“ უნდა განხორციელდეს უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების ბაზაზე, ექსპერტთა ჯგუფის ერთი წევრი წამოდგენილი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსიდან. მისი ჩართულობის მიზანია, დამატებით განისაზღვროს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შეფასება და დასკვნაში ასახვა. „საბიბლიოთეკო საქმის“ პროფესიული პროგრამა უნდა განხორციელდეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში ქალაქ ქუთაისში. პროფესიული პროგრამები და განმახორციელებელი პირებიც ადგილობრივი კადრია, ცხადია, ამ პროგრამების განხორციელება ხელს ვერშეუშლის აკადემიური პროგრამების განხორციელებას, რადგან დაწესებულება აღნიშნულ მისამართზე არ ახორციელებს აკადემიურ პროგრამებს. თსუ-ს შემუშავებული აქვს პროფესიული სწავლების მარეგულირებელი დოკუმენტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რომლებიც ცალსახად დამოუკიდებელი დოკუმენტებია და არ იკვეთება სწავლების მაღალი საფეხურის პროგრამების არსებულ რეგულაციებთან.

ქალაქ ქუთაისში, სამუშაო ვიზიტის დაწყებამდე, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გაცნობისა და გასაუბრების დროს, განხილულ იქნა მომზადებული დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გაცნობითი შეხვედრა და გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებულიარსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან;
- საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედოგეგმებისა დამათიშესრულებისმონიტორინგის მექანიზმების შემოწმება/პასუხისმგებელპირებთანგასაუბრება;
- საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება (მათ შორის ბიბლიოთეკა)/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების გადამოწმება;
- საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმების არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

– დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შეჯამება/შეჯერება ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის/ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ვიზიტის დროს მოხდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება, კერძოდ, **რეკომენდაცია N1** – სასურველია დაწესებულების მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში უშუალოდ ჩანდეს რომელი პროფესიული პროგრამის, რა კონკრეტული მიზნებისთვისაა გაფორმებული ეს მემორანდუმი/ხელშეკრულება.
შესრულების ანალიზი: ახალ მემორანდუმებში ასახულია დეტალურად ინფორმაცია თუ რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებშია გაფორმებული მემორანდუმი და რა მიზნით, ასევე მითითებულია სტუდენტების რაოდენობ,ა რომელიც უნდა მიიღოს ორგანიზაციამ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

რეკომენდაცია N2 – სასურველია კატალოგში იყოს შემდეგი ინფორმაცია: დაწესებულების შესახებ ინფორმაცია, რომელი წლისაა კატალოგი, სად ხორციელდება კონკრეტული პროგრამები თბილისში თუ ქუთაისში, პროგრამების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად საკონტაქტო პირის ან პროგრამის ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი, დაანონსებული პროგრამების (მიუხედავად იმისა, რომ კატალოგის პირველ გვერდზე მითითებულია) აღწერილობით ნაწილშიც ჩანდეს, რომ ეს პროგრამები ჯერ არ ხორციელდება.

შესრულების ანალიზი: კატალოგში მითითებულია ყველა ის პროფესიული პროგრამა რომელიც ხორციელდება თსუ-ში დეტალური აღწერილობით, ასევე არის მითითებული პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.

რეკომენდაცია N3 – სასურველია ქ. ქუთაისის მსგავსად, სასწავლო პროცესის მართვის პორტალი ამოქმედდეს იმ მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის დასაგეგმად და წარსამართად, რომლებიც ქ.თბილისში ხორციელდება.

შესრულების ანალიზი: ესტონელი პარტნიორების (ესტონეთის პროფესიული განათლების ცენტრი „Ida-Virumaa kutsehariduskeskus“) ჩართულობით დაიგეგმა და მუშაობა დაწყებულია ახალი ელექტრონული სისტემის შექმნაზე რომელიც მოემსახურება პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის ორგანიზებას და წარმართვას.

რეკომენდაცია N4 – სასურველია უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე ველში „პროფესიული განათლება“ გარდა განთავსებული ინფორმაციისა, თავმოყრილი იყოს პროფესიული სწავლებასთან დაკავშირებული ყველა მარეგულირებელი წესი და დებულება.

შესრულების ანალიზი: თსუ-ს ახალი ვებ-გვერდის სტრუქტურაში პროფესიულ განათლებას აქვს საკუთარი გვერდი სადაც არის წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული პროგრამების მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. ვებ-გვერდი არის სატესტო რეჟიმში და მისი გაშვება იგეგმება უახლოეს მომავალში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

რეკომენდაცია N5 – სასურველია უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედი გეგმებში პროფესიული განათლების კუთხით ცალკე ქვესტრატეგიის ჩამოყალიბება, რადგან მიგვაჩნია, რომ დაწესებულება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს პროფესიული განათლების განვითარებისათვის.

შესრულების ანალიზი: 2019 წლის ივნისში შეიქმნა უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - „თსუ პროფესიული განათლების ცენტრი“, რომელსაც დაევალა თსუ-ში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. ცენტრი საკუთარ საქმიანობას წარმართავს თბილისსა (მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N2, N11, ილია ჭავჭავაძის გამზ. N11ა) და ქუთაისში (მისამართი: ნიკეას მე–2 შესახვევი N 8). პროფესიული განათლების ცენტრს აქვს ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა, ასევე მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილია პროფესიული პროგრამების სუბსტრატეგიის შემუშავება და ახალი მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმების დამტკიცება.

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია:

2.3.1 **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

თსუ-ში პროფესიული პროგრამების შეფასება და განვითარება რეგულირდება თსუ **აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019** დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესით“. წესის მე-13 მუხლი, რომელიც ეხება მოქმედი პროფესიული საგანამათლებლო პროგრამების შეფასებას, არის წარმოდგენილი ძალიან მოკლედ და პროგრამის შეფასების მექანიზმს არ აღწერს. ამ საკითხთან დაკავშირებით, პროფესიული ცენტრის უფლებამოსილ პირთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლებელი სტუდენტების და პედაგოგების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, დაინტერესებული მხარეების აზრის გათვალისწინებით აფასებს პროგრამას, თუმცა შეფასების მექანიზმის კრიტერიუმები ოფიციალური გაწერილი რომელიმე ნორმატიულ დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის.

2.4 **სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

2.4 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესი რეგულირდება თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №94/2019 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის ნაწილში, ბუნდოვანია და მკაფიოდ არაა განსაზღვრული მოდულზე დაშვების წინაპირობა (მე-15 მუხლი მე-5 და მე-6 პუნქტი).

2.4.2 (1; 2) **შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას**

– არ არის გაწერილი ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, დაწესებულება ამ ხარვეზის გამოსწორებას გეგმავს 6 თვის ვადაში.

2.4.2 (3) **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

თსუ პროფესიული განათლების ცენტრი დამატებით, პროფესიული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუავებს პროცედურას, რომელიც უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აღრიცხვასა და შენახვას. ასევე, შეფასების უწყისის წარმოებას, შენახვას კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნული პროცედურა შემუშავდება არა უგვიანეს 6 თვის პერიოდში.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	საბიბლიოთეკო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0322
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის ბრძანება#97/01-01 (01.06.2020)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ქუთქაისი, ნიკეას მე-2 შესახვე4ვი#8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 (ორმოცი)
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	0 (ნული)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0 (ნული)
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86 (ოთხმოცდაექვსი)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0 (ნული)
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116 (ასცამეტი)

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	**სრული 3**	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	**მეტწილი 2**	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	**მეტწილი 2**	ნაწილობრივი 1	

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Erase

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე“ განხორციელების შესახებ ეფუძნება ,,პროგრამების შერჩევის, დაგეგმვისა და შემუშავების “მეთოდოლოგიას. პროგრამა შრომის ბაზრისა და დასაქმებულთა გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე, შემუშავეულ იქნა თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით (#03/127-01; 12.03.2020 წ.) შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც შედიოდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტები. სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევები პროფესიული განათლების მიმართულებით; სამუშაო ჯგუფმა სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და გაანალიზების შემდეგ, ასევე თსუ-ში შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის არსებობის საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ განხორციელება. პროგრამის განხორციელების დასაბუთება: მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე კურსდამთავრებულებს ექნებათ დასაქმების ფართო არეალი და ამ მიმართულების კვალიფიცირებულ სპეციალისტებზე შრომის ბაზარზე მოთხოვნა დიდია; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელია დარგის სპეციალისტი, პროგრამის თითოეულ მასწავლებელს აქვს შესაბამისი კომპენტენცია და უნარი, რომელიც საკმარისია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მაღალი კლასის სპეციალისტების მოსამზადებლად. პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილია მასწავლებელთა რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელთა დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

განხორციელების მდგრადობას; თსუ-ში პროფესიული პროგრამისთვის გათვალისწინებული A და B გარემო სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საბიბლიოთეკო საქმე“ დამტკიცებულია თსუ-ს რექტორის ბრძანებით - #97/01-01; 01.06.2020წ. ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს რექტორს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #135/ნ; 11.09.2013წ. სსიპ თსუ-ს წესდების დამტკიცების თაობაზე - თ.II მე-14 მუხ. მე-9 პ. ,,რექტორი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, რექტორის ბრძანების სახით“).

დაწესებულების **მისიაა** ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება; სტუდენტზე ორიენტირებულის წავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა; თავისუფალი სამყაროს ღირსეული წევრობა.
დაწესებულების გრძელვადიანი სტრატეგიული **ხედვაა** საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაცია, მათ შორის მუდმივად განვითარებადი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით; ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების გაზრდილი რაოდენობა; საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების ინტერნაციონალიზაცია.
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - (2018-2024წწ.), რომელიც განთავსებულია თსუ-სვებ-გვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მ. გოგოლაძე

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპიროებები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით გან საზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“ მოიცავს 5 ზოგად მოდულს - ჯამური 15 კრედიტის რაოდენობით, 10 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 71 კრედიტის რაოდენობით.პროგრამის მიხედვით მოდულების - ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15 კრედიტი)გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმპროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის #152/ნ ბრძანებით ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ცალკეულ მოდულებს დაშვების წინაპირობები არ აქვს. პროფესიულ პროგრამაზე „საბიბლიოთეკო საქმე“ სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში)“.
კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 86 კრედიტი, არაქართულენოვანის შემთხვევაში 116 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 14, არაქართულენოვანი სტუდენტებისატვის 19 თვე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე'' მე-11 ჩანაწერის მიხედვით პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივაა.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია თსუ-ს რექტორის დადგენილებით (თსუ-ში ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საბიბლიოთეკო საქმე“ პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“-დადგენილება #95/2019; 22.07.2019 წ.). დოკუმენტში გათვალისწინებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო გარემო. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე“ განხორციელებისათვის, თეორიული მეცადინეობისა და ჯგუფური მუშაობისათვის არსებობს Aდა B (C საჭიროების შემთვევაში) გარემო. დასაშვებია სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება ორ ცვლაში (საგაზაფხულო დასაშემოდგომო მიღებაზე) სასწავლო გარემოს, ტექნიკური აღჭურვილობისა და კვირეული დატვირთვის გათვალისწინევბით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მიღებული C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა და გამტარუნარიანობა.

ცენტრი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო სქმე'' გამოიყენებს პრაქტიკის ობიექტსაც, დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს ქ. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკასთან (დირექტორი **გრიგოლ ქობალია**).

- ✓ **ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა** - მემორანდუმი #12/05; 28.05.2020 წ.; ქ. ქუთაისი, ნუცუბიძის ქ.#1; ს/კ 212899443;

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭირო სასწავლო გარემო, სასწავლო და მატერიალური რესურსი, რაც ასახულია პროგრამის დანართში - N4. თსუ პროფესიული განათლების ცენტრი და თსუ ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს აღნიშნული რესურსების ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ ნუსხაში მითითებულ აღჭურვილობას, რაცპროგრამის განაცხადის მიხედვით, არის თსუ-ს საკუთრებაში.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ,,საბიბლიოთეკო საქმე“ არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საბიბლიოთეკო საქმე“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - თსუ-ს რექტორის ბრძანებით- #97/01-01; 01.06.2020 წელი. ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს რექტორს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #135/ნ; 11.09.2013წ. სსიპ თსუ-ს წესდების დამტკიცების თაობაზე - თ.II მე-14 მუხ. მე-9 პ. ,,რექტორი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, რექტორის ბრძანების სახით“).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - საბიბლიოთეკო საქმე Library Work ქართულ და ინგლისურ ენაზე შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, არ არის შეცდომაში შემყვანი დაარ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან. დაწესებულებაში აკადემიური საბჭოს დადგენილებით (#96/; 22.07.2019 წ.) დამტკიცებულია ,,თსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი".

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „საბიბლიოთეკო საქმე" (სარეგისტრაციო ნომერი - 003202-პ) საფუძველზე. ამასთან, ის შესაბამისობაშია თსუ ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესთან" და კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან.პროგრამის დასახელება ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას.

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მიზნები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისანიჭიბელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში/Secondary Vocational Qualification inLibrary Work (კვალიფიკაციის კოდი 0322), პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სწავლების მეთოდოლოგია. დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შეიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს **86** კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისათვის (პროგრამის ხანგრძლივობა - **14** სასწავლო თვე), პროგრამის მოცულობა არაქათულენოვანი სტუდენტებისთვის - **116**კრედიტი (პროგრამის ხანგრძლივობა არაქაუთლენოვანი სტუდენტებისთვის - **19** სასწავლო თვე).

ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს 5 ზოგადი მოდულს 15 კრედიტის მოცულობით (ინტერპერსონალური კომუნიკაცია - 3 კრედიტი; რაოდენობრივი წიგნიერება - 2 კრედიტი; ინფორმაციულიწიგნიერება - 3 კრედიტი; მეწარმეობა - 2 კრედიტი; უცხოური ენა - ინგლისური - 5კრედიტი) და 10 პროფესიულ მოდულს - 71 კრედიტი, ჯამურად - 86 კრედიტის მოცულობით (გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი – 2 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი - 12 კრედიტი, პრაქტიკული პროექტი ბიბლიოთეკარისთვის - საბიბლიოთეკო მომსახურება და საბიბლიოთეკო კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები -6 კრედიტი, საბიბლიოთეკო სივრიცის ორგანიზება – 3 კრედიტი, ფონდის დაკომპლექტება - 5 კრედიტი, ფონდის მართვა - 10კრედიტი, ფონდის დაცვა – 7 კრედიტი, საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა – 10 კრედიტი, საბიბლიოთეკო მოსახურება – 8 კრედიტი, კულტუულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები - 8 კრედიტი). ქართული ენა A2- 15 კრედიტი და ქართული ენა B1 – 15 კრედიტი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ გაზაფხულსა და შემოდგომაზე. სასწავლო გეგმით არ ხდება მოდულების გადაფარვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმისმტკიცებულებები/ინდიკატორებიშესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,საბიბლიოთეკო საქმე“;
- ✓ რექტორის ბრძანებით -ბრძანება #97/01;01.06. 2020 წელი.
- ✓ თსუ აკადემიური საბჭოს დადგენუილებით - (#03/127-01; 12.03.2020 წ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- ✓ თსუ-ს პროფესიულსაგანმანათლებლოპროგრამაზეპროფესიული სტუდენტებისზღვრულირაოდენობისგანსაზღვრისმეთოდოლოგიის სესახებ დადგენილებით - #95/2019; 22.07.2019 წ.;
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმით - 2018-2024წწ.;
- ✓ ,,თსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის“ შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილებით - #96/; 22.07.2019 წ.;
- ✓ პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე“ დამატების მიზანშეწონილობის სამუშაო ჯგუფის ოქმით - ოქმი;
- ✓ თსუ-ს ვებ-გვერდით - tsu: ge;
- ✓ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - #12/05; 28.05.2020
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, შესაბამისიგრაფისმონიშვნით, გამოხატოთსაკუთარიპოზიციადაწესებულებისსტანდარტის მოცემულ კომპონენტთანმიმართებითშესაბამისობისშესახებ.
- ○ შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლოთეკო საქმის“ განხორციელება იგეგმება ქ. ქუთაისში შემდეგ მისამართზე: ნიკეას მე–2 შესახვევი N8, აუდიტორია №104 და №102 (A-B-გარემო), პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით *(ჯგუფში 20 პროფესიული სტუდენტი, ორი ცვლის შემთხვევაში - 40 პროფესიული სტუდენტი).* საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილია სავალდებულო მატერიალური რესურსი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის,,საბიბლიოთეკო საქმე“ განსახორციელებლად გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და წესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მ. გოგოლაძე

PDF Eraser Free

უზრუნველყოფს როგორც თსუ-ში ქ. ქუთაისში, ასევე დაწესებულების მიერ შერჩეულ პრაქტიკის ობიექტზე (ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ნუცუბიძის ქ. №1). დაწესებულებას მოწყობილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები.

დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე" მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გაფორმებული აქვს მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან, კერძოდ, ქ. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკასთან, სადაც არსებული მატერიალური რესურსით და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პრაქტიკის ობიექტი შეძლებს ერთდროულად 40 სტუდენტის მიღებას ორ ცვლაში პროგრამას თან ახლავს ის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც აუცილებელია პროგრამის განსახორციელებლად.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე" განხორციელებისთვის ჩართულია ზოგადი მოდულებისთვის - 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფესიული მოდულებისთვის - 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, სულ - 14 პროფესიული განათლების განმახორციელებელი პირი. განაცხადის თანახმად, მათთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება, რომელიც გადამოწმდა ვიზიტის ფარგლებში. პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილია მასწავლებელთა რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დოკუმენტების გაცნობისას გაირკვა, რომ პროგრამაში შემავალ მოდულის განმახორციელებელ პირებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია აღნიშნული მოდულების განხორციელებისათვის, პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მ. გოგოლაძე

PDF Eraser Free

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი პროფილის პროფესიული მასწავლებლებით, რომელთა კომპეტენცია დასტურდება მათი კვალიფიკაციით და/ან პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიულ მასწავლებლებს უტარდებათ ტრენინგები და კონსულტაციები შესაბამისი უნარების გაუმჯობესების მიზნით, როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ ფორმატში. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისა და ინტერვიურებისას დადასტურდა, რომ ყველა მათგანს აქვს პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელის პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. სათანადო დოკუმენტებით დასტურდება მათი პროფესიული გამოცდილება.დაწესებულებაში თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია დადგენილება ,,პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ'' (დაგენილება - #64/2019; 07.06.2019 წ., რომელშიც 2020წლის 20 თებერვალს #10/2020 დადგენილებით შევიდა ცვლილება), სამუშაოს აღწერილობა წარმოადგენს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - თსუ) დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულში - **პროფესიული განათლების ცენტრში** კონკრეტულ თანამდებობაზე დასაქმებული პირის შრომით სამართლებრივი საქმიანობის მიმართულებებისა და ფუნქციების (უფლება-მოვალეობების) განმსაზღვრელ დოკუმენტს;

სამუშაო აღწერილობაში, რის საფუძველზეც ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევა, ნათლადაა გაწერილი პროფესიული განათლების მასწავლებლის/განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თითოეულს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისდაგეგმვისა და შემუშავების თანამონაწილეობისათვის საჭირო შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე'' შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი თსუ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის შესაბამისად. პროგრამის ხელმძღვანელად, თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია დადგენილება ,,პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ'' მოთხოვნების მიხედვით, დანიშნულია პირი, რომელსაც აქვს სათანადო დარგობრივი კომპეტენციისა და მრავალწლიანი პროფესიული და პედაგოგიური გამოცდილება, რაც დადასტურდა პირადი საქმით, მასში წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციით და გასაუბრებით. მისი ფუნქციები გაწერილია სამუშაო აღწერილობაში. პროგრამის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობები გაწერილია მასთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში. იგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას პასუხისმგებელია მის შესაბამისობაზე ჩარჩო დოკუმენტთან; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების განმავლობაში მისი სრულყოფის მიზნით კოორდინირებულად მუშაობს თსუ პროფესიული განათლების ცენტრთან და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ, თსუ პროფესიულ განათლების ცენტრში წარმოადგენს ანგარიშს, სადაც აისახება პროგრამის განვითარების რეკომენდაციები.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,საბიბლიოთეკო საქმე'' მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული (CD დისკზე ჩაწერილი) ისე მატერიალური სახით, რომელიც გამოყენება სასწავლო პროცესში. ყველა მათგნი საბიბლიოთეკო წესითაა დამუშავებული/რეგისტრირებული.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებაში ყველა პირობაა სსსმ და შშმ პირთა პროფესიული განათლების მიღებაში ხელშეწყობისათვის. სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. თსუ-ს პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ცენტრს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სსსმ პროფესიულ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს სპეციფიკის განსაზღვრა მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და მოდულს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სსსმ პირების მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პორცესში, მათ შორის ხელმისაწვდომობას ადაპტირებულ სასწავლო რესურსებზე.

დაწესებულებაში მოწყობილია პანდუსი.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბიბლიოთეკო საქმე“ გათვალისწინებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა (ერთ ცვლაში 20 პროფესიული სტუდენტი), პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება და აპლიკანტთა მხრიდან თსუ-ს პროფესიული პროგრამებისადმი მაღალი ინტერესი, უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ შევსებული ბიუჯეტით. პროფესიული პროგრამის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 8 პროფესიულ სტუდენტს.

კოლეჯის ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან და მისი მთავარი შემოსავლების წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი (პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსების რაოდენობის სიზუსტე გადამოწმდა ვიზიტის განხორციელებისას). მასში გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა. პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მათი სახელფასე ანაზღაურება საათობრივი დატვირთის მიხედვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმისმტკიცებულებები/ინდიკატორებიშესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,საბიბლიოთეკო საქმე“ - რექტორის ბრძანება - #97/01-01 (01/06/2020);
- ✓ მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაციით, ანგარიშფაქტურებით;
- ✓ საჯარო ბიბლიოთეკასთან გაფორმებული მემორანდუმით- #12/05; 28.05.2020წ.;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ დადგენილებით ,,პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ'' - #64/2019; 07.06.2019 წ., ცვლილებებით 2020წლის 20 თებერვალი #10/2020;
- ✓ სსიპ - ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტშიახალიპროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამებისდამატებისმიზნითპროგრამებისშერჩევის, დაგეგმვისადაშემუშავებისსამუშაოჯგუფისანგარიშით;
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- ✓ ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდით;
- ✓ ინტერვიურებით;
- ✓ ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შეფასება:

- გთხოვთ, შესაბამისიგრაფისმონიშვნით, გამოხატოთსაკუთარიპოზიციადაწესებულებისსტანდარტის მოცემულ კომპონენტთანმიმართებითშესაბამისობისშესახებ.
- შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1 .თსუ-ში პროფესიული პროგრამების შეფასება და განვითარება რეგულირდება თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესით“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებული მუშაობით. *ზემოთ აღნიშნული წესის მე-13 მუხლი, რომელიც ეხება მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, არის წარმოდგენილი ძალიან მოკლედ და პროგრამის შეფასების მექანიზმს არ აღწერს.* ამ საკითხთან დაკავშირებით, პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელობასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ რეალურად დაწესებულება სტუდენტების და პედაგოგების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, დაინტერესებული მხარეების აზრის გათვალისწინებით აწარმოებს პროგრამის შეფასებას, თუმცა შეფასების მექანიზმის კრიტერიუმები რომელიმე ნორმატიულ დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი მუშაობს აღნიშნული მიმართულებით რათა დახვეწოს პროგრამის შეფასების არსებული მექანიზმი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებული მუშაობით. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული მასწავლებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, თსუ პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები) გამოკითხვას. ასევე, ამ მიმართულებით თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება ხორციელდება, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ კოლეგებთან. იქიდან გამომდინარე, რომ საქმე გვაქვს ახალი პროგრამასთან, ჯერ არ არის ამ კონკრეტული პროგრამის შეფასების პროცესი დაგეგმილი, თუმცა ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თსუ-ს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ამ პროცესს არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, მათ შორის უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის და მათი ჩართულობით, ისევე, როგორც ადგილობრივი კომპანიების დარგის სპეცალისტებთან კონსულტირების გზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობით შექმნასა და მის მოდიფიკაციაზე. ასევე, პროგრამის ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ ის წარმოადგენს ანგარიშს სადაც ასახული უნდა იყოს პროგრამის განვითარების რეკომენდაციები. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე ჯერ მოხდა სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემდგომ განხორციელდა ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირება სასწავლებლის მიერ. არაფერი ცვლილებები და მოდიფიცირება პროგრამას არ განუცდია. თსუ-ს საქართველოში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის კარგი გამოცდილება აქვს, რაც გამოიხატება ერთობლივი სამუშო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარებით. სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება, ახალი იდეების გენერირება და შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით სასწავლო პროცესში ახალი მიდგომების დანერგვაზე მსჯელობა. ასევე, თსუ აქტიურად თანამშრომლობს ესტონეთის პროფესიული განათლების ცენტრებთან მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით. აღნიშნული დასტურდება შეხვედრების ამსახველი დოკუმენტებით, ასევე, გასაუბრებების შედეგად.

2. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებული სუსტი და ძლიერი მხარეების, ასევე, გასაუმჯობესებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მიმართულებებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მითითებით ანგარიშს წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს და თსუ-სხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. პროფესიული განათლების ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებებისთვის საჭირო პროცედურების განხორციელებას. ვინაიდან საბიბლიოთეკო საქმის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა არის ახალი შემუშავებული, შესაბამისად, მთელი რიგი პროცედურები ამ ეტაპისთვის ვერ იქნებოდა განხორციელებული, თუმცა გასათვალისწინებელია სხვა მოქმედ პროგრამებთან მიმართებაში უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკა და გამოცდილება.

2019 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრებზე გამოკვეთილი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცვლილებები შევიდა თსუ-ში 2019 წლის შემოდგომის მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვა, რომელთა შედეგები გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.აღნიშნული დასტურდება პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილესთან გასაუბრებით. ექსპერტთა ვიზიტის დროს ეს გამოკითხვები ჯერ დასრულებული არ არის და შესაბამისად, შედეგების ამსახველი ანალიზის დოკუმენტი ვერ ინებოდა წარმოდგენილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმისმტკიცებულებები/ინდიკატორებიშესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- ✓ ,,პროფესიულიმსაგანმანათლებლოპროგრამისდაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისადაგანვითარებისწესით'' - თსუაკადემიურისაბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილება;
- ✓ პროგრამისხელმძღვანელთანგაფორმებულიწინარეხელშეკრულებით;
- ✓ ინტერვიურებით.

შეფასება:

- გთხოვთ, შესაბამისიგრაფისმონიშვნით, გამოხატოთსაკუთარიპოზიციადაწესებულებისსტანდარტის მოცემულ კომპონენტთანმიმართებითშესაბამისობისშესახებ.
- შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☐შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. პროფესიული პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“ მოიცავს დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, რომელის საფუძველზეც განხორციელდება სასწავლო პროცესი. სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია თსუ-ში 2018 წელს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხოციელებიდან მიღებული პრაქტიკული გამოცდილება და მასწავლებელთა დატვირთვის რეალური შესაძლებლობები. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კალენდარული გეგმის შემუშავების ვალდებულება მოდულის დაწყებამდე. კალენდარული გეგმის განახლებული ფორმა დამტკიცდა 2019 წლის დეკემბერში მასწავლებლებთან აქტიური კომუნიკაციის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ „საბიბლიოთეკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს მოდულის წინაპირობას, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-15 მუხლი, რომელიც განმარტავს პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესს და შედგება ცხრა პუნქტისგან, ამ მუხლის მე-5 პუნქტისმიხედვით, იმ შემთხვევაში თუ მოდულის წინაპირობაა წინა მოდულის დაძლევა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოდულზე სწავლის შედეგების ,,არ დადასტურების“ ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაიშვას წინა მოდულზე, სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში თუ ამ პერიოდში არ დადგება მოცემული მოდულის თუნდაც ერთი სწავლის შედეგის დადასტურების საკითხი. აქვე მე-6 პუნქტი თითქოს უფრო მეტად ხსნის წინა პუნქტს, კერძოდ: ,,წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სწავლის შედეგების ვერ დადასტურება ითვლება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და პროფესიულ სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა“. მსჯელობის შედეგად დადგინდა, რომ ეს მუხლები ბუნდოვანია და მკაფიოდ არ განსაზღვრავს მოდულზე დაშვების წინაპირობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. თსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას, სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით რეაგირებს მათ ინტერესებზე და საჭიროებებზე. მოდულის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტები ავსებენ ონლაინ კითხვარს, რომელიც არის ანონიმური და პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შეაფასოს მოდულის განხორცილების ეფექტიანობა, მასწავლებლის ჩართულობის დონე, კალენდარული გეგმის შესრულების დინამიკა, შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურობა, რესურსების ხელმისაწვდომობა და დატოვოს საკუთარი მოსაზრება/რეკომენდაცია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. რეგულარულად ხდება პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრები და მეცადინეობებზე დასწრება. შეხვედრებიდან და გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური წვდომა საგანამანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. ასევე, მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით პროფესიული მასწავლებელი იყენებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს, პროფესიულ სტუდენტებს დამატებით აწვდის ჰენდაუთებს სასწავლო მასალის უკეთ ათვისებისათვის.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისთვის პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულ(ებ)ს და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის, პროგრამის/მოდულ(ებ)ის სასწავლო გარემო ადაპტირებულია. ასევე სხვა ტიპის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

საჭიროებების შემთხვევაში თსუ პროფესიული განათლების ცენტრი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტი დისციპლინური გუნდის ჩართულობით უზრუნველყოფს მათზე შესაბამის რეაგირებას.

5. ჩარჩო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“, ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას, პრაქტიკული კომპონენტის სწავლება უზრუნველყოფილია განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან, კერძოდ ქ. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკასთან გაფორმებული მემორანდუმით. მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ, განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია. ქვეყანაში არსებული მდგომარეობით (პანდემია) და მანამდე არსებული ინფორმაციით, რაც მოიცავს იმას, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრები უკვე ფლობდნენ ინფორმაციას ქ. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, მოხდა მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაცია დაწესებულების დირექტორთან, მან დაადასტურა მზაობა ყველა იმ პუნქტთან მიმართებაში რაც ასახულია მემორანდუმში.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“, განსაკუთრებულ მიდგომებს უსაფრთხოების დაცვაზე არ საჭიროებს. თსუ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური სხვა შესაბამის დეპარტამენტებთან/სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
კომპონენტის/კრიტერიუმისმტკიცებულებები/ინდიკატორებიშესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

- ✓ ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ - თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №94/2019; 22.07.2019წ.;
- ✓ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“პროგრამისსასწავლოგეგმით;
- ✓ თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ №64/2019;
- ✓ თსუ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებით;
- ✓ პროგრამისხელმძღვანელთანგაფორმებულიწინარეხელშეკრულებით;
- ✓ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ გასაუბრებით.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, შესაბამისიგრაფისმონიშვნით, გამოხატოთსაკუთარიპოზიციადაწესებულებისსტანდარტის მოცემულ კომპონენტთანმიმართებითშესაბამისობისშესახებ.
- ○ შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☐შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დეტალურად არის გაწერილი პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცედურა, ხოლო შეფასების ინსტრუმენტის ფორმა ითვალისწინებს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის მიერ ინსტრუმენტის შეთანხმების პროცედურას. შეფასების ინსტრუმეტის შეთანხმება ხდება თსუ პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან. რამდენადაც აღნიშნულმა პროცედურებმა შესაძლებელია სრულად ვერ უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობა, პროფესიული განათლების ცენტრი გეგმავს შეიმუშაოს რეგულაცია, რომლის მიხედვით შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს შეითანხმებს დარგის სპეციალისტი და თსუ პროფესიული განათლების ცენტრის პირველი მოადგილე/სასწავლოპროცესის მართვის მენეჯერი. ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მის ვერიფიკაციას გააკეთებს დარგის მასწავლებლებთან ერთად. აღნიშნული რეგულაციის შემუშავება დაგეგმილია არაუგვიანეს 6 თვის პერიოდში.

რაც შეეხება შეფასების სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას ის უზრუნვეყოფილია თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პრცესის მარეგულირებელი წესით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით, შეფასების ინსტრუმენტის და კალენდარული გეგმის განახლებული ფორმებით, კალენდარული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
გეგმის შესრულების პროცესზე დაკვირვებით, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებზე პერმანენტული დაკვირვებით და პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციით.

2.პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია მოიცავს შემდეგი მოქმედებების განხორციელებას: შეფასების ინსტრუმეტის შექმნის პროცესში მოდულის მასწავლებელი ვალდებულია შეფასების ინსტრუმენტი შექმნას მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნების, კალენდარული გეგმით გაწერილი მიმართულებების შესაბამისად და შეათანხმოს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, რის შემდეგაც ის დასრულებული სახით ხვდება პროფესიულ სტუდენტთან. შეფასების ინსტრუმენტების შექმნის პროცესში საჭიროებისამებრ ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი.

დასრულებული შეფასების ინტრუმეტების შენახვასა და მათ მონიტორინგს უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი/პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმის მწარმოებელი მენეჯერი. პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნვეყოფის მენეჯერის მიერ პერმანენტულად, თითოეული პროფესიული საგანმათლებლო პროგრამის მიხედვით, პროგრამის ხელძღვანელისა და მოდულების განმახორცილებელი მასწავლებელების ჩართულობით ხდება შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია.

ასევე, დაგეგმილია შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია სხვა პარტნიორ პსდ-თანთანამშრომლობით. თუმცა <u>ზემოთმოხსენიებული ვერიფიკაციის მექანიზმი არარის გაწერილი პროცედური სსახით; თსუ პროფესიული განათლების ცენტრი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის პროცედურის შემუშავებას გეგმავს არაუგვიანეს 6 თვის პერიოდში.</u>

3. თსუ-ში დოკუმენტების აღრიცხვა და შენახვა წარმოებს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმის წარმოების ერთიანი წესის“ მიხედვით. ამ წესის მუხლი 4. დოკუმენტების აღრიცხვა, მოძრაობა და გაფორმება, მე-8 პუნქტი განმარტავს, რომ ”ერთ საქმეში იკერება 200 - 250 ფურცელი. კანცელარიაში საქმე ინახება 3 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

განმავლობაში, შემდეგ დადგენილი წესის შესაბამისად ბარდება არქივს (თუ ნომენკლატური განსაზღვრული ვადით ექვემდებარება შენახვას) ან ნადგურდება“.

თსუ პროფესიული განათლების ცენტრი დამატებით, პროფესიული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუავებს პროცედურას, რომელიც უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. ასევე, შეფასების უწყისის წარმოებას, შენახვას კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნული პროცედურა შემუშავდება არა უგვიანეს 6 თვის პერიოდში.

4. ვინაიდან დაწსებულება გერგმავს და ჯერ არ ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ განხორციელებას ქ, ქუთაისში, შესაბამისად ვერ იქნება შფასების ინსტრუმენტები, მაგრამ იყენებენ სხვა პროგრამების განხორციელებისას მიღებულ პრაქტიკას. სწორედ ამ პრაქტიკიდან გამომდინარე, სტუდენტების დადასტურებული შეფასებების ინსტრუმენტების შესწავლისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გამართული შეხვედრების ანალიზის საფუძველზე დაწესებულებამ შეცვალა შეფასების ინსტუმეტისა და კალენდარული გეგმების ფორმები, რამაც ხელი შეუწყო მასწავლებლებს უფრო ეფექტიანად დაგეგმონ და განახორციელონ შეფასების პროცესი. მასწავლებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედეგების გაცნობას ახორციელებს ინდივიდაუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში ჯგუფშიც. მიღწეული სწავლის შედეგების გაცნობით იგეგმება შემდგომი ნაბიჯები სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისა და დაძლევისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმისმტკიცებულებები/ინდიკატორებიშესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ - თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №94/2019; წლის 22.07.2019წ.;
- ✓ თსუ აკადემიური საბჭოსდადგენილებით №64/2019 - სსიპ - ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტისდამხმარესაგანმანათლებლოერთეულის - პროფესიულიგანათლებისცენტრისშექმნისადადებულებისდამტკიცებისშესახებ;
- ✓ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესით;
- ✓ თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ადამიანური რესურსის სამუშაო აღწერილობებით;
- ✓ თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის N 01/127-01 (26.11.2020) ბრძანებით კალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტის და უწყისი ფორმის დამტკიცების შესახებ;
- ✓ პროფესიული სტუდენტების კითხვარით;
- ✓ პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრების დასწრების ფურცლებით.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, შესაბამისიგრაფისმონიშვნით, გამოხატოთსაკუთარიპოზიციადაწესებულებისსტანდარტის მოცემულ კომპონენტთანმიმართებითშესაბამისობისშესახებ.
- ○ შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☐შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ექსპერტთაჯგუფისშეფასება პროგრამაზემოთხოვნილიპროფესიულსტუდენტთაზღვრულირაოდენობისშესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მ. გოგოლაძე

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

თარიღი
12 ივლისი, 2020 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: